საქართველოს მთავრობის

დადგენილება №173

2011 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების თანდართული ნუსხა.

2. ჩათვლის უფლების გარეშე დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლდეს ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხა

პესტიციდები და აგროქიმუკატები:

ნომენკლატურის სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	შენიშვნა
3808 92 100 00	პრეპარატები სპილენძის ნაერთების ფუძეზე	
3808 99 100 00	როდენტიციდები	
3808 99 900 00	პესტიციდები დანარჩენი	
3102 80 000 00	შარდოვანას და ამონიუმის ნიტრატის ნარევები წყალხსნარში ან ამონიუმის ხსნარში	
3102 10 100 00	სასუქი შარდოვანა, მათ შორის, წყალხსნარში, აზოტის შემცველობით 45 მას.%-ზე მეტი, მშრალ უწყლო პროდუქტზე გადაანგარიშებით	
3102 60 000 00	კალციუმის ნიტრატისა და ამონიუმის ნიტრატის ორმაგი მარილები და ნარევები	

თესლი და სარგავი მასალა:

ნომენკლატურის სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	შენიშვნა
0602 10	დაუფესვიანებელი კალმები და გადანაწვენები	
0602 20	ხეები, ჯაგნარები და ბუჩქნარები, დამყნობილი ან დაუმყნობელი, საჭმელი ნაყოფის ან კაკლის მომცემი	
0602 90 300 00	ბოსტნეული კულტურების, მარწყვისა და ხენდროს მცენარეები	
0602 90 510 00	ღია გრუნტის მრავალწლიანი მცენარეები, ხეების, ჯაგნარების და ბუჩქნარების გარდა	
0602 90 590 00	ღია გრუნტის მცენარეები, ხეების, ჯაგნარების და ბუჩქნარების გარდა დანარჩენი	
0602 90 700 00	დაფესვიანებული კალმები და ნორჩი მცენარეები, კაქტუსის გარდა	
0713 33 100 00	- ლობიო დასათესად	
0701 10 000 00	- კარტოფილი სათესლე	
0712 90 110 00	შაქრიანი სიმინდი ჰიბრიდული დასათესად	

1001 90 100 00 1001 90 910 00	სპელტა დასათესად ხორბალი რბილი და მესლინი, სათესლე	
1003 00 100 00	ქერი (სათესლე)	
1005 10	სიმინდი (სათესლე)	
1007 00 100 00	სორგო მარცვლოვანი (დასათესი ჰიბრიდები)	
1201 00 100 00	სოიოს ცერცვი (დასათესად)	
1205 10 100 00	რაფსის ან კოზლას თესლი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი (სათესად)	
1206 00 100 00	თესლი მზესუმზირისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი (სათესად)	
1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად.	

შენიშვნა: თუ ნუსხაში მითითებულია ექვსნიშნა სასაქონლო სუბპოზიცია ან ოთხნიშნა სასაქონლო პოზიცია, მაშინ იგულისხმება, რომ გათავისუფლება ვრცელდება მოცემული სუბპოზიციის ან პოზიციის ყველა საქონელზე.